„ამომრჩეველთა ინფორმირება 20202 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის“

„ვირჩევ დემოკრატიას !“

ააიპ „Post-ალიონი“

25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წელი

მიზანი:

- გურიაში ახალგაზრდა ამომრჩევლის გააქტიურება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა;

- მათი აღჭურვა საჭირო ცოდნით/ინფორმაციით საკუთარი უფლებების, საკანონმდებლო ცვლილებების და პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესების შესახებ.

პროექტის ამოცანები:

- ბენეფიციართა ინფორმირება საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების, საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
- ახალგაზრდებისთვის სადისკუსიო სივრცის გახსნა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების უკეთ გაცნობის მიზნით;
- არჩევნების, როგორც ჩართულობის მთავარი ინსტრუმენტის პოპულარიზაცია;
- კვალიფიციური რჩევების გაწევა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პირველად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

ძირითადი სამიზნე აუდიტორია:

- ახალგაზრდები;
- საარჩევნო სუბიექტები;
- პარტნიორი მედიასაშუალების მომხმარებელი ამომრჩეველი.

პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად, უშუალოდ ჩართული იყო:

82 ახალგაზრდა მოხალისე; აქედან, 47 ვაჟი და 35 ქალი;

პარტნიორი მედიასაშუალების ონლაინ პლატფორმის (ვებ გვერდი - www.gurianews.com) მომხმარებელი აუდიტორია, რომლის რაოდენობა google.analytics-ის მიხედვით მოცემულ პერიოდში 175 935 უნიკალური ვიზიტორია; აქედან, მთვლელის Top.ge-ს მიხედვით, 58 % მამაკაცია, ხოლო 42% ქალი;

ბეჭდური პლატფორმის ჯამურად 10 000 მომხმარებელი; ასევე, პარტნიორი მედიასაშუალების ოფიციალური გვერდის გამომწერი 24 ათასამდე ადამიანი და ჯგუფის წევრი 5000 ადამიანი.

პროექტის ბენეფიციარები იყვნენ საარჩევნო სუბიექტები, რომელთაგან შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 7 პირმა, აქედან, 5 კაცი და 2 ქალი.

გახორციელების არეალი: გურია

ღონისძიება 1. საგაზეთო გვერდების მომზადება/ბეჭდვა/გავრცელება

ღონისძიება 2. ქოლ ცენტრი ახალგაზრდებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური რჩევების/დახმარების მისაღებად

12-18 ოქტომბერი, 2020 წელი 5

არჩევნები 2020

შენი მოქალაქეობრივი ვალია, ყველაფერი იცოდეთ არჩევნების შესახებ და დეტალურად ვალიარებდეთ ნებისაგარეშლად!

ვირჩევ დემოკრატიას!

ნაბიჯები მიხვალია ახალგაზრდობა, ერთად ვ�აა ინტერესებს, ეს ბოლო რა ბიჯია ბედნიერებს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, 21 და 23 ოქტომბერს, შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვება ელექტრონულ ეკონომიკაზე, ფილტრის მეთოდით სამაგალითო ეკონომიკა და გაეცანით მათ ზედაპირი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

21 ოქტომბერი, 14-ჯერ 16 საათამდე, ხოლო 23 ოქტომბერი, 15-ჯერ 17 საათამდე ბოლოჯერ "ეროვნული ბანკი"-ში და ბაბალიეს ეროვნულ ბანკიროლის ეროვნული ბანკიროლის ბანკიროლის ბანკიროლის ბანკიროლის!

ფინანსურ ინფორმაციის ფაქტობრივ ინფორმაციის ფაქტობრივ ინფორმაციის ფაქტობრივ

ღონისძიება 3. ორი შეხვედრა საარჩევნო სუბიექტებსა და ახლაგაზრდებს შორის პირისპირ და ონლაინ ჩართვით



პირველი შეხვედრა



მეორე შეხვედრა

ღონისძიება 4. მომზადდა და გავრცელდა 30 ცალი 5-წამიანი კლიპი ახალგაზრდების მონაწილეობით



ღონისძიება 5. ქუჩის აქცია არჩევნებზე მისვლის აუცილებლობის მხარდასაჭერად - პლაკატების გაკვრა

ოზურგეთი და ლანჩხუთი

პროექტის ეფექტი

მოსახლეობას მიეწოდა დეტალური ინფორმაცია პანდემიის პირობებში, ხმის უსაფრთხოდ მიცემის პროცედურების შესახებ;

განთავსდა ინფორმაცია მაჟორიტარული და პროპორციული წესით ასარჩევი საარჩევნო სუბიექტების შესახებ, ასევე იმ სიახლეებისა და სერვისების თაობაზე, რასაც საარჩევნო ადმინისტრაცია სთავაზობდა ამომრჩეველს, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს.

გამოქვეყნდა ინფორმაცია ახლგაზრდებთან საარჩევნო სუბიექტების შეხვედრების ადგილის, თარიღის, დროის და პლატფორმის შესახებ (უშუალოდ დარბაზში ან ონლაინ ჩართვის მეშვეობით); წინასაარჩევნოდ და არჩევნების დღეს ქოლ ცენტრის მუშაობის და კვალიფიციური დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობის თაობაზე;

წინასაარჩევნოდ და არჩევნების დღესაც, ორგანიზებული იყო ქოლ ცენტრი, შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტით, რომელიც მზად იყო დახმარებოდა/კონსულტაცია გაეწია ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველად იღებდა არჩევნებში მონაწილეობას, რითაც ხელი შევუწყვეთ ახალგაზრდა ამომრჩევლის არჩევანის დაცულობას;

მომზადდა და პარტნიორი მედიასაშუალების ვებ გვერდზე აიტვირთა 30 ცალი 5-წამიანი კლიპი, რომლებშიც ახალგაზრდები ამომრჩეველს არჩევნების მნიშვნელობაზე, ხმის მიცემის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ, რითაც ისინი პოპულარიზაციას უწევდნენ არჩევნებს.

პროექტის ეფექტი

გურიის მაჟორიტარული ოლქის საარჩევნო სუბიექტებთან შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო შვიდმა კანდიდატმა (აქედან 2 - ქალი და 5 - კაცი). შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა 42 ახალგაზრდა; აქედან, პირველ შეხვედრაში - 26, ხოლო მეორე შეხვედრაში - 16 ახალგაზრდა. ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს კანდიდატებს, რამაც სადისკუსიო სივრცე გახსნა მათთვის;

ბრენდირებულ მაისურებში ჩაცმული ახალგაზრდების მიერ, გურიის სამივე მუნიციპალიტეტში მოწყობილი აქცია - პლაკატების გაკვრა ემსახურებოდა არჩევნების, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტიტუტის პოპულარიზაციას არა მხოლოდ ახალგაზრდებში, არამედ, საზოგადოებაში, რომლებიც ამ აქციებს ადევნებდა თვალს;

შეხვედრები გადაიცემოდა ლაივსტრიმში, ხოლო შემდეგ, აიტვირთა მაღალრეიტინგულ ვებ გვერდზე www.gurianews.com, ეს ონლაინრესურსი გამოყენებული იქნა ასევე ვიდეოკლიპების, პროექტის შესახებ ინფორმაციის და აქტივობების გასაშუქებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში ჩართული ახალგაზრდებით კიდევ უფრო შეივსო ჩვენი ორგანიზაციის საკონტაქტო ბაზა, რომელიც სხვა პროექტების და აქტივობების განხორციელებისას, ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია.

გამოწვევები და გადაჭრის გზები

კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება საზოგადოების უკიდურესი პოლარიზება, რის ფონზეც, ახალგაზრდები უფრთხიან ნებისმიერ აქტივობას, რაც კი არჩევნებს უკავშირდება; მათი აქტიური ჩართვა ამ პროცესებში ხანგრძლივვადიანი სტრატეგიული დაგეგმვით იქნება შესაძლებელი.

პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები

ა/მ

მადლობა ყურადღებისთვის!